საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10704/01
13/11/2020

10704-01-2-202011131232

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალს“
მის: ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. №4

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2020 წლის 23 სექტემბერს წარმოდგენილი წერილი (N15023), რომელიც ეხება ტერმინალის მიმდინარე საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (5000 კუბ.მ. მოცულობის (5 ცალი) ნავთობპროდუქტების საცავი რეზერვუარების მშენებლობის და ექსპლუატაციის) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- დაზუსტებას საჭიროებს ბათუმის ნავთობტერმინალის ტექნოლოგიურ უბნებზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური და არაგეგმიური შემოწმებების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრისთვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ქმედებების და გონივრული ვადების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, ზემოაღნიშნული წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთიანი ცხრილის სახით, სადაც გამოვლენილი დარღვევების, კონკრეტული ქმედებების და შესაბამისი გონივრული ვადების გარდა **მნიშვნელოვანია,** საწარმოს შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მითითებული იყოს განსაზღვრულ ვადებში დარღვევების აღმოფხვრამდე შესასრულებელი **მოკლევადიანი და გრძელვადიანი გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია.** ცხრილში თანმიმდევრულად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით, უნდა აისახოს ბათუმის ნავთობტერმინალის ტექნოლოგიურ უბნებზე გამოვლენილი დარღვევები, კონკრეტული პრევენციული ქმედებები, შესაბამისი გონივრული ვადები და **საბოლოო მიზნის მისაღწევად** განსაზღვრული მოკლევადიანი/გრძელვადიანი გარემოსდაცვითი ღონისძიებები.

- ასევე წარმოდგენილ იქნეს დეტალური დასაბუთება სამინისტროს მიერ გონივრული ვადებით განსაზღვრული ქმედებების სხვა ვადებით ან/და სხვა ქმედებებით განხორციელების შესახებ. მაგალითად: შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემულია ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრისათვის სამინისტროს 2020 წლის 12 მარტის №2743/01 წერილით განსაზღვრული ვადებისაგან

განსხვავებული ვადა, რაც საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამის დასაბუთებას. ამასთან, აღსანიშნავია რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცნობით - დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ გადამოწმდა შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მიმართ 2020 წლის 13 მარტის №001609 ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა, ხოლო გამოვლენილ დარღვევებზე, 2020 წლის 5 ნოემბერს შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალის" მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №005116 ოქმი.

- გზშ-ის ანგარიშში მოცემულ გარემოსდაცვით პროგრამაში (13.1) და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმაში (23.2) დაზუსტებას საჭიროებს ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდის ბაზის მშენებლობა-ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საკითხები და შესაბამისი ვადები. *მაგ: გზშ-ის ანგარიშში რამდენიმე ადგილზე მითითებულია, რომ „თხევადი გაზის უბანში ნავთობშლამების დროებითი საცავების ტერიტორიაზე ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდის ბაზის მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით საჭირო სანებართვო დოკუმენტაციის შემუშავება - 2021-2022“; . . . ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდის ბაზის მშენებლობის ნებართვის მიღება - 2021-2022”.* ზემოაღნიშნული ჩანაწერები, სადაც საუბარია სანებართვო დოკუმენტაციის მომზადებაზე, ნებართვის მიღებაზე და განსაზღვრულია შესაბამისი ვადები გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას, **ვინაიდან** სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლობის (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდის ბაზის) მშენებლობა-ექსპლუატაციაზე სამინისტროს მიერ 2012 წლის 20 მარტს გაცემულია N15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, საიდანაც გარკვეული ვალდებულებები შეასრულეს შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალმა“ და შპს ,,სიგმატიქსმა“(ნებართვის ნაწილობრივ გადაცემის პრინციპით). ამასთან, წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში განხილულია ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდის ბაზის, როგორც არსებული ინფრასტრუქტურის, ისე ბაზის მშენებლობის დამთავრების და ექსპლუატაციაში შეყვანის ვალდებულებებთან დაკავშირებული ღონისძიებები, შესასრულებელი გონივრული ვადის მითითებით. ასევე გაცნობებთ, რომ თუ წარმოდგენილმა გზშ-ის ანგარიშმა უნდა მოიცვას ასევე ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდის ბაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული დასკვნით გათვალისწინებული საკითხები, დოკუმენტაციაში დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, როგორც საქმიანობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასების, ისე გზშ-ის ანგარიშისა და გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულებების და სამინისტროს მიერ გონივრული ვადებით განსაზღვრული ქმედებების ნაწილში;

- დაზუსტებას საჭიროებს, აგრეთვე შემდეგი სახის ჩანაწერი: *„ნავთობით დაბინძურებული შლამების სეპარირებული შეგროვება და გატანა შპს ,,სიგმატიქსის“ უტილიზაციის ბაზაზე და მისი ინსინირაცია“* - ვინაიდან გზშ-ის ანგარიშის თანახმად, 2020 წელს ივნისში შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალმა“ შეისყიდა შპს ,,სიგმატიქსისგან“ ნავთობშლამების ინსინერაციის ობიექტი, და საკუთარი პასუხისმგებლობით გააგრძელებს ინსინერატორის ექსპლუატაციას;

- გზშ-ის ანგარიშში მოცემული გარემოსდაცვითი პროგრამა მოცემულია 2019-2023 წლებისთვის. შესაბამისად, წლები საჭიროებს დაკორექტირებას;

- ვინაიდან, წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მოიცავს, როგორც 5000 კუბ.მ. მოცულობის (5 ცალი) ნავთობპროდუქტების საცავი რეზერვუარების მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტს, ისე მთლიანი ნავთობტერმინალის მიმდინარე საქმიანობას და 2009 წლის 30 იანვარს გაცემული №12, 2012 წლის 16 იანვრის №4, აგრეთვე 2012 წლის 20 მარტს გაცემული N15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას - **დამატებით/დაზუსტებულ დოკუმენტაციაში, დასაბუთებული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული (ერთიანი ინფორმაციის/დოკუმენტაციის) სახით გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენის მიზანი, და აქედან გამომდინარე, მოთხოვნა მითითებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად გამოცხადების ან მათ ძალაში დატოვებასთან დაკავშირებით.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ დამატებითი/დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენა სამინისტროში, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე